



აკადემიის მაცნე

ელ-ფოსტა:

gaas.georgia@dsl.ge
acad.as@gaas.dsl.ge

ვებ-საიტი:

www.gaas.dsl.ge

თბილისი, 0102, ივანე ჯავახიშვილის ქ. №51

ტ. 2 91 03 90

*ბუნოუ აბ უნდა ჰგავიერს იღუენიერს, თუ კაცს პრეტორსი,
წინსულა აცადიანისა თუჩ სიფყად აბ მიანიხია
ილია ჩუქავაძე*

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურ საბჭოში

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია თავის საქმიანობას წარმართავს აკადემიის წესდების შესაბამისად ჩამოყალიბებული სამუშაო გეგმის მიხედვით. აკადემიური საბჭოს სხდომა ტარდება ყოველთვიურად (კვარტალში სამი გეგმიური სხდომა) და იხილავს აგრარული მეცნიერების აქტუალურ საკითხებს, თანამედროვე მდგომარეობას, სადღეისო ამოცანებს, განვითარების პერსპექტივებს და სხვ. გაზეთი "აკადემიის მაცნე", რომელიც გამოდის კვარტალში ერთხელ, სისტემატიურად აშუქებს აკადემიის საქმიანობას, აკადემიური საბჭოს სხდომაზე განხილულ ცალკეულ მნიშვნელოვან საკითხებს, თანამედროვე საინტერესო მოვლენებსა და მათდამი მიდგომებს, მოწინავე გამოცდილებასა და ტექნოლოგიებს და სხვ. გაზეთში ასევე ეთმობა ყურადღება საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან თანამშრომლობის მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივებს.

ამგვარად გაზეთის ფურცლებზე შუქდება აკადემიის აკადემიური საბჭოს მოკლე ანგარიში ყოველ კვარტალში ჩატარებული საქმიანობის შესახებ. ვუიქრობთ იგი კარგი სარეკლამო – საინფორმაციო საშუალებაა აკადემიის საქმიანობის ობიექტურად შეფასებისათვის.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება

2014 წლის 24 თებერვალს ჩატარდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წლიური საერთო კრება.

კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრები (აკადემიკოსები და წევრ-კორესპონდენტები), საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ეროვნული კოორდინატორები და მოწვეული სტუმრები: ზურაბ ტყემალაძე – საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე; გიგლა აგულაშვილი – საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე; ივერი ახალბედაშვილი – საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის აპარატის ხელმძღვანელი; აკად. გიორგი კვესიტაძე – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი; აკად. ოთარ ნათიშვილი – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სოფლის მეურნეობის განყოფილების აკადემიკოს-

მდივანი; აკად. ბიძინა კოროხაშვილი – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სოფლის მეურნეობის განყოფილების წევრი, გურამ ჯაფარიძე - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სოფლის მეურნეობის განყოფილების სწავლული მდივანი; იური ნოზაძე - საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე; დავით გალავაშვილი - საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე; ომარ კაჭარავა - საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მრჩეველი; ლევან უჯმაჯურიძე - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი; ზაურ ფუტყარაძე – აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი; იოსებ აბულაძე - აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე; პროფ. როლანდ კოპალიანი – ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე; ანზორ

თხილაიშვილი – პროფესიული განათლების ფონდის ვიცე-პრეზიდენტი; კახა ლაშვი – შპს “ლომთაგორას” ხელმძღვანელი.

მოხსენებით “საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის 2013 წლის საქმიანობის შესახებ” – გამოვიდა სსმმ აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე.

მოხსენების ირგვლივ კამათში მონაწილეობა მიიღეს მოწვეულმა სტუმრებმა და სსმმ აკადემიის წევრებმა – აკად. გ.კვეციანიძემ, გ.აგულაშვილმა, ზ.ტყეშელაძემ, ი.ნოზაძემ, დ.გალგაშვილმა, აკად. გ.მარგველაშვილმა, აკად. ზ.ცქიტიშვილმა, აკად. რ.მახაროზიძემ, აკად. ო.ქეშელაშვილმა,

აკად. ნ.ქარქაშიძემ, აკად. ნ.ჭითანავამ, აკად. ნ.ბალათურამ, აკად. ვ.კვლიაშვილმა, აკად. გ.პაპუნაძემ, აკად. თ.ყურაშვილმა, პროფ. რ.კოპალიანმა, ზ.ფუტყარაძემ, კ.ლაშხმა, ო.კაჭარავამ, სსმმ აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოს-მდივანმა გ.ჯაფარიძემ, აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ე.შაფაქიძემ.

საერთო კრების მონაწილეებმა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის 2013 წლის საქმიანობა შეაფასეს დადებითად.

კრებამ მიიღო შესაბამისი დადგენილებები და რეკომენდაციები.



სურ.1. სსმმ აკადემიის წლიური საერთო კრების პრეზიდენტი

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის აკადემიკოს გურამ ალექსიძის მოხსენება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე - 24 თებერვალი 2014 წელი

ბატონებო, გასული წელი გარდამტეხი იყო არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ ჩვენი აკადემიის ცხოვრებაშიც. ქვეყანაში დამთავრდა ერთმმართველობისა და განუკითხაობის პერიოდი, დაიწყო ახალი ერა აღმშენებლობის, კოლექტიური და დემოკრატიული მართვის პერიოდი. ვფიქრობ ეს ჩვენი აკადემიის მუშაობაშიც შეიმჩნევა.

პირველ რიგში ძალზედ მოკლედ მინდა ავღნიშნო აკადემიური საბჭოს მუშაობა; სულ ჩატარდა 14 სხდომა, სადაც განხილული იქნა სოფლის მეურნეობის 59 აქტუალური საკითხი სოფლის მეურნეობის სხვადასხვა სფეროდან. მიღებული იქნა შესაბამისი დადგენილებები, რომლებიც რეაგირებისათვის გადაეგზავნა სოფლის მეურნეობის სამინისტროს, გარემოს დაცვის სამინისტროს და სხვა შესაბამის უწყებებს. რიგ შემთხვევებში მიღებულია დადებითი გამოსმაურება და

წინადადებები ერთობლივი მუშაობის ჩასატარებლად.

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა აკადემიის ორგანიზაციული მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, კერძოდ ჩამოყალიბდა დარგობრივი ეროვნული კოორდინატორის ინსტიტუტი. ეროვნულ კოორდინატორებად არჩეულნი არიან აგრარული მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენლები. სულ 26, მათგან 22 აკადემიის წევრია, დანარჩენი კი ჩვენი ქვეყნის სხვა გამოჩენილი სპეციალისტი.

შერჩეული დარგებია: მევენახეობა, მეღვინეობა, მეხილეობა, ჩაი და სუბტროპიკული კულტურები, სასოფლო – სამეურნეო ეკოლოგია, აგროქიმია – ნიადაგმცოდნეობა, მეცხოველეობა, საკვებწარმოება, ვეტერინარია, მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავება, მეაბრეშუმეობა, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაცია და ავტომატიზაცია, სასოფლო – სამეურნეო ჰიდრომელიორაცია, სასოფლო – სამეურნეო პროდუქტების შენახვა და გადამუშავება, მეტყვეობა, მეფუტკრეობა.

ეროვნული კოორდინატორის ერთ – ერთი ძირითადი ფუნქციაა დარგობრივ ჯგუფებთან ერთად მოიძიოს და მიიღოს ინფორმაცია დარგში არსებული მდგომარეობის შესახებ, განსაზღვროს პრიორიტეტული მიმართულებები და დასახოს კონკრეტული ღონისძიებები დარგის შემდგომი განვითარებისათვის.

დარგობრივ ჯგუფში უკვე გაერთიანებულია ჩვენი ქვეყნის 150-მდე ცნობილი მეცნიერი და პრაქტიკოსი, რომლებიც ამაღროდ აღწერილია ფერმერებისათვის უფასო კონსულტაციებს. ცნობა ამის შესახებ გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა“-ში და ჟურნალ „ახალ აგრარულ საქართველოში“. ამ ინფორმაციამ ფერმერებში მნიშვნელოვანი დაინტერესება გამოიწვია. პირადად ჩემს მიერ უკვე გაცემულია 10-მდე კონსულტაცია მცენარეთა დაცვის სხვადასხვა საკითხზე. ასევეა სხვა დარგობრივ ჯგუფებშიც.

ეროვნული კოორდინატორების უშუალო ხელმძღვანელობით აკადემიაში ჩატარდა 10 მრგვალი მაგიდა და სემინარი, სადაც მონაწილეობა მიიღეს ჩვენი აკადემიის წევრების გარდა, აგრარულ დარგში მომუშავე მაღალკვალიფიციურმა მეცნიერებმა და წარმოების სპეციალისტებმა. ასეთი შეხვედრები ჩატარდა მებოსტნეობის, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის, ქართული ფუტკრის გადარჩენის საკითხებზე, მეაბრეშუმეობის განვითარების საკითხებზე, მთიანი ტყეების არსებულ მდგომარეობასა და მისი მდგომარეობის გაუმჯობესების გზებზე, მეხილეობის, მცენარეთა დაცვის საკითხებზე, სუბტროპიკული კულტურების არსებულ მდგომარეობაზე (დაბა ანასუელში), მეცხოველეობის საკითხებზე, სეტყვის საწინააღმდეგო ღონისძიებებზე და სხვა, რომელთა განხილვაშიც ჯამურად მონაწილეობა მიიღო 250-მდე სპეციალისტმა. ღონისძიებები რეაგირებისათვის გადაეგზავნა სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

განსაკუთრებით მინდა გამოვეყო რამოდენიმე კვირის წინ ჩატარებული მრგვალი მაგიდა, რომელიც მოეწყო სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სსმმ აკადემიის თაოსნობით და მიეძღვნა სასოფლო – სამეურნეო კოოპერატივების განვითარებას. მუშაობაში მონაწილეობა მიიღო სოფლის მეურნეობის მინისტრმა შალვა ფიფიამ და სააგენტოს ხელმძღვანელმა გიორგი მიშელაძემ, თათბირის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ჩვენი აკადემიის ეკონომიკური დარგის აკადემიკოსებმა: ნაპოლეონ ქარქაშიაძემ, ნოდარ ჭითანავამ, თამაზ კუნჭულიამ, ომარ ქეშელაშვილმა, პაატა კოლუაშვილმა და სხვებმა. თათბირს დაესწრო 100-მდე წარმომადგენელი საქართველოს

რეგიონებიდან.

ცალკე მსჯელობის საკითხია სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის შემუშავება, რაზეც აკადემიის წევრებმა ძალზედ აქტიურად იმუშავეს (აკად. ნ. ჭითანავა, აკად. გ. ჯაფარიძე, აკად. შ. ჭალაგანიძე, აკად. ხ. ციციტიშვილი და აკადემიის ეროვნული კოორდინატორები). უკვე მომზადებულია პირველი ვარიანტი თითოეულ დარგში არსებული მდგომარეობის და განვითარების პერსპექტივების შესახებ. ამ საკითხზე ნაკლებად ვისაუბრებ, რადგან აკად. ნოდარ ჭითანავა კონკრეტულად ხელმძღვანელობს ამ მიმართულებას და ვფიქრობ იმ უფრო ფართოდ შეეხება მას.

საანგარიშო წელს გაფართოვდა აკადემიის კონტაქტები და თანამშრომლობა სხვადასხვა სამეცნიერო, საგანმანათლებლო და სამთავრობო ორგანიზაციებთან. შესაბამისად გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატასა და საქართველოს პროფესიული განათლების ფონდთან (ბატონი ალექსანდრე ეჯიბაძე), სოფლის მეურნეობის დარგებში პროფესიული განათლების გაუმჯობესებისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის თაობაზე; სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალ „ახალ აგრარულ საქართველო“-თან (ბატონი შოთა მაჭარაშვილი), საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტთან (რექტორი ლაშა გოცირიძე), აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (რექტორი გიორგი დავითაძე), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან (მინისტრი ზაურ ფუტყარაძე).

მნიშვნელოვანი იყო თანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება უკრაინის ქ. ვინნიცის ეროვნულ აგრარულ უნივერსიტეტთან და ყაზახეთის სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციისა და მექანიზაციის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტთან.

ცალკე მინდა გამოვეყო საერთაშორისო თუ რესპუბლიკურ თათბირებში მონაწილეობა. გასულ წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „ინოვაციური ტექნოლოგიები აგრარული სექტორის მდგრადი და უსაფრთხო განვითარებისათვის“. კონფერენცია ჩატარდა შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.

კონფერენციის მონაწილეებისათვის მომზადებული იქნა და დაიბეჭდა 462 გვერდის მოცულობის კონფერენციის შრომათა კრებული. აღნიშვნის ღირსია აკადემიის თანამშრომლების სსმმ აკადემიის წ/კ ელგუჯა შაფაქიძის, ანატოლი გიორგაძის და თინათინ ეპიტაშვილის კარგი მუშაობა ამ ღონისძიების მაღალ დონეზე ჩასატარებლად. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 110 სტუმარმა საზღვარგარეთიდან და საქართველოს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ორგანიზაციებიდან, მათ შორის მეცნიერებმა აზერბაიჯანიდან, უკრაინიდან, რუსეთიდან, ყაზახეთიდან, უზბეკეთიდან, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის კვლევითი ინსტიტუტებიდან, ქუთაისის ა. წერეთლის უნივერსიტეტიდან, ბათუმის შ. რუსთაველის უნივერ-

სიტეტიდან, ცალკეულმა აგრარიკოს მეცნიერებმა და ფერმერებმა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და ბონის (გერმანია) უნივერსიტეტის მეცნიერების განვითარების ცენტრის ორგანიზებით ჩვენს აკადემიაში გაიმართა საერთაშორისო სემინარი თემაზე: “სასოფლო სამეურნეო განათლების და ცოდნის გავრცელების პრობლემები სოფლის მეურნეობაში”. მასში ქართველებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს გერმანელმა, პოლანდიელმა და უკრაინელმა მეცნიერებმა.

უკრაინის ქალაქ კამიენეც-პოდოლსკის სახელმწიფო აგრარულ-ტექნიკურ უნივერსიტეტში გაიმართა მე-3 საერთაშორისო პრაქტიკული – სამეცნიერო კონფერენცია „ ზოტექნიკური მეცნიერება: ისტორია, პრობლემები, პერსპექტივები“.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს მეცნიერებმა სხვადასხვა ქვეყნიდან: მოლდოვა, რუსეთი, ბელორუსია, პოლონეთი, რუმინეთი და სხვა. საქართველოდან მოხსენებით გამოვიდა აკადემიის სწავლული მდივანი ანატოლი გიორგაძე.

ბულგარეთის ქალაქ ვარნაში ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია თემაზე ”მანქანები სოფლის მეურნეობაში“. კონფერენციაში მონაწილეობას იღებდა ევროკავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების 88-ზე მეტი მეცნიერი. საქართველოდან კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა აკადემიკოსი ჯემალ კაციტაძე, რომელიც ამავე დროს ხელმძღვანელობდა ერთ – ერთ სექციას.

ქ. ქუთაისში ჩატარდა სამეცნიერო – პრაქტიკული კონფერენცია „აგრარიკოს მეცნიერთა კვლევის შედეგების კომერციალიზაცია“.

კონფერენციის მიზანი იყო საქართველოს აგრარიკოს მეცნიერთა კვლევის შედეგების წარმოჩინება და გაცნობა საქართველოს მთავრობის, საერთაშორისო და ადგილობრივ ფონდების და ბიზნეს წრეებისათვის.

ჩვენი აკადემიიდან კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს და მოხსენებებით გამოვიდნენ აკად. გალექსიძე, აკად. რ.მახარობლიძე, აკად. ჯ. კაციტაძე, აკად. ვ. ცანავა, აკადემიის წ/კორესპონდენტი ე. შაფაქიძე, აკადემიის წ/კორესპონდენტი რ. ჯაბნიძე, სწავლული მდივანი აკად. დოქტ. ა. გიორგაძე.

ქ. ბაქოში (აზერბაიჯანი) ჩატარდა ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების აგრარული კვლევების საკოორდინაციო სამეთვალყურეო საბჭოს მე-16 სხდომა, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობა მიიღო ყაზახეთის, უზბეკეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, თურქმენეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს წარმომადგენლებმა. საქართველოდან მუშაობაში მონაწილეობა მიიღო აკადემიკოსმა გ. ალექსიძემ, რომელმაც ილაპარაკა იმ წარმატებაზე, რაც მიღწეული იქნა ბოლო წლებში “სიჯიარის” სისტემის კვლევით ცენტრებთან ერთობლივი თანამშრომლობით; კერძოდ ხორბლის, სიმინდის, მუსხლოს, კარტოფილის ახალი ჯიშების გამოცდით და მათი წარმოებაში გავრცელებით, მცენარეთა გენბანკის შექმნით საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში,

ასევე ვაზის და ხეხილის კოლექციის შექმნით ფირმა „აგრო-ქართუს“ მიერ, სადაც თავმოყრილია „ინ-სიტუ“ კოლექციებში საქართველოში გავრცელებული ვაზის და ხეხილის ადგილობრივი და ინტროდუცირებული ჯიშები.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ სტუმრად მიიღო ქ. პოზნანის (პოლონეთი) საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა უნივერსიტეტის სატყეო ფაკულტეტის ხელმძღვანელები, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს აკადემიასთან სამეცნიერო და საგანმანათლებლო სფეროში თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმების შესახებ, რომელზეც ხელი მოეწერება მიმდინარე წელს. ასევე გადაწყდა ევროკავშირის გრანტის მოსაპოვებლად ერთობლივი სამუშაოების დაწყება.

გასულ წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში შეიქმნა საქართველოს აგრობიომრავალფეროვნების საკოორდინაციო ცენტრი, რომელშიც გაერთიანებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის, აგრარული უნივერსიტეტის, მცენარეთა გენეტიკური რესურსების ბანკის, ვაზისა და ხეხილის სარგავი მასალის წარმოების ეროვნული ცენტრი “აგრო ქართუ“-ს, ილიას უნივერსიტეტის ეკოლოგიის ინსტიტუტის და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები. არჩეული იქნა ცენტრის ხელმძღვანელები და დარგის კოორდინატორები.

ცენტრი საწყის ეტაპზე მოახდენს საქართველოში გავრცელებული სასოფლო – სამეურნეო მცენარეთა (აგრეთვე მათი გარეული მონათესავე სახეობების) და ცხოველთა ინვენტარიზაციას, რათა მომზადდეს პირველი კრებული, სადაც აბორიგენული და ინტროდუცირებული მცენარეების და ცხოველების ჩამონათვალი იქნება, ოთხ ენაზე: ქართულ, ლათინურ, ინგლისურ, რუსულ ენებზე. კატალოგის პირველი ვერსია მიმდინარე წელს გამოქვეყნდება.

ცალკე მინდა გამოვეყო საკითხი აკადემიისა და პარლამენტის აგრარული კომიტეტის შორის ურთიერთობის შესახებ. საინტერესოა, რომ გასულ წელს აკადემიამ მნიშვნელოვნად გააფართოვა მუშაობა საქართველოს პარლამენტის კომიტეტებთან, განსაკუთრებით ეს ეხება აგრარული და დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტებს. ჩატარდა რამდენიმე სხდომა რომელშიც აკადემიის წევრებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს. ეს ეხებოდა კანონში “ვაზი და ღვინო” ცვლილებების შეტანას (აკად. ნ. ბალათურია, აკად. ნ. ჩხარტიშვილი), მეცხოველეობისა და რძის მრეწველობის განვითარებას (აკად. ზ. ცქიტიშვილი, აკად. თ. ყურაშვილი), კომიტეტში შეიქმნა მეცნიერებისა და კონსულტირების საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც დარგების მიხედვით შევიდნენ: აკად. გ. ალექსიძე, აკად. რ. მახარობლიძე, აკად. ზ. ცქიტიშვილი, აკად. თ. ყურაშვილი, აკად. ნ. ჩხარტიშვილი, რომელთა მიერ უკვე შექმნილია სამუშაო ჯგუფები და მზადდება წინადადებები კომიტეტში განსახილველი საკითხების. ვფიქრობთ, რომ კანონშემოქმედებითი სამუშაოები უნდა გახდეს ჩვენი აკადემიის ერთ – ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება. უკვე შეტანილია აკადემიაში მომზადებული კანონის პროექტი “ქარსაფარი ზოლების” შესახებ

(აკად. გ. ჯაფარიძე, აკად. რ. ჩაგელიშვილი, მეცნ. დოქტ. გ. გაგოშიძე). მზადდება კანონები “მცენარეთა გენეტიკური რესურსების შენახვისა და გამოყენების შესახებ” (აკად. გ. ალექსიძე, ჯგუფთან ერთად). არის კიდევ რამდენიმე წინადადება მექანიზაციის (აკად. რ. მახარობლიძე), აგროქიმიის (აკად. გ. მარგველაშვილი, აკად. ო. ზარდალიშვილი) და სხვა მიმართულებებით.

მოკლედ მინდა შევეხო ჩვენი აკადემიის ურთიერთობას საერთაშორისო კვლევით ცენტრებთან. ის, რომ წლების განმავლობაში ვთანამშრომლობთ (ოფიციალური ხელშეკრულებების დონეზე) ისეთ საყოველთაოდ აღიარებულ კვლევით ორგანიზაციებთან, როგორცაა: “იკარდა” (მშრალი რეგიონების კვლევითი ცენტრი), “სიმიტი” (ხორბლისა და სიმინდის სელექციის ცენტრი), “იკრისატი” (ნახევრად ტროპიკული ქვეყნების კვლევითი ცენტრი), “ბიოვერსიტი” (მცენარეთა გენეტიკური რესურსების კვლევითი ცენტრი), “აცირო” (მეზოსტენობის მსოფლიო ცენტრი), ჩინეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, რუსეთის ვავილოვის მემცენარეობის კვლევითი ინსტიტუტი, ბონის უნივერსიტეტი; ის, რომ ვართ “სიჯიარის” სისტემის რეგიონალური სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ქვეყანა; “კაკარის” – შუა აზიისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ასოციაციის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ქვეყანა, რომ გვაქვს სახელშეკრულებო ურთიერთობები უკრაინის ორ უნივერსიტეტთან და სხვა, ამაზე ჩვენ ადრეც გვილაპარაკია. გვილაპარაკია იმაზეც, თუ რა სიკეთე მოაქვს ამ ორგანიზაციებთან ურთიერთობას, კერძოდ ახალი სელექციური ჯიშების მიღებაში, ახალი ტექნოლოგიების დანერგვაში და სხვა. დღეს ამ საკითხებზე აქ აღარ ვისაუბრებთ, მინდა მხოლოდ ერთი დავუმატო, რომ გასულ წელს აკადემიის ხელმძღვანელობით ჩატარდა ორი საერთაშორისო ექსპედიცია მცენარეთა გენეტიკური რესურსების მოძიების მიზნით, რომელშიც ქართველ სპეციალისტებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს რუსეთის, პოლანდიის, ჩეხეთის და სამხრეთ კორეის მეცნიერებმა. საინტერესოა, რომ ასეთი შეხვედრების შედეგად, ამჟამად მზადდება ხელშეკრულება ჩვენსა და კორეის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას შორის, მათ შორის აგრობიომრავალფეროვნების ხაზით ერთობლივი კვლევების ჩატარების შესახებ. ისიც მინდა მოგახსენოთ, რომ “ფაოსთან” შეიქმნა კვლევის ახალი პლატფორმა ტროპიკული ქვეყნებისათვის, რომლის სამეთვალყურეო საბჭოს წევრობა შუა აზიისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონიდან ჩვენ დაგვევალა, თუმცა როგორი ფორმით ვითანამშრომლებთ, ეს ჯერ კიდევ დასაზუსტებელია.

გასულ წელს, აკადემიის თანამშრომლები მონაწილეობას იღებდნენ რუსთაველის ფონდით დაფინანსებული 4 საგრანტო თემის შესრულებაში, რომელთა ხელმძღვანელებიც არიან: აკად. გურამ ალექსიძე, აკად. რ. მახარობლიძე, აკად. ჯ. კაციტაძე, აკად. თ. ურუშიაძე, აკად. ა. დიდბუღიძე – ასრულებდა ევროკავშირის ერთ პროექტს, ხოლო აკადემიის წ/კ რ. ჯაბნიძე – აჭარის სამინისტროს დაფინანსებით 1 პროექტს.

ამავე დროს, მსოფლიო ბანკის და ევროკავშირის გრანტების მოსაპოვებლად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მეშვეობით (მინისტრის მოადგილე, ბატონი თ. მარსაგიშვილი) აკადემიაში მომზადდა 9 პროექტი ინგლისურ ენაზე, რომელთა შორის ერთ – ერთი სამთო სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებს ეხება. თუ ეს პროექტი დაფინანსდა, მაშინ აკადემიის ბევრ თანამშრომელს საშუალება ექნება მონაწილეობა მიიღოს მის შესრულებაში. პროექტი, ჩვენი გათვლებით 1.5 მლნ. დოლარის დაფინანსებას ითვალისწინებს და მისი ძირითადი მიმართულებებია: ეროზიასთან ბრძოლა; ბიომრავალფეროვნების დაცვა; წყლის ოპტიმალური გამოყენება; ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მიღება, მათი გადამუშავება და სხვა მთის ეკოსისტემებში.

ძალზედ მნიშვნელოვანი საკითხია აგრარული პროფილის კვლევითი ინსტიტუტების მდგომარეობა. მოგეხსენებათ, რომ ჩვენი აკადემია არის მთავრობის მრჩეველი აგრარულ საკითხებში და ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა ამ საკითხებზე დავაფიქსიროთ ჩვენი პოზიცია. მრავალჯერ ავიღე ნიშნა პრესაშიც, თათბირებზეც, რომ აგრარული პროფილის ინსტიტუტები უნდა იყოს ერთი ორგანიზაციის - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში, მაგრამ საკითხი კვლავ გადაუჭრელია, თუ ასე კიდევ დიდხანს გაგრძელდება საქართველოში აგრარული მეცნიერება აღარ იარსებებს, ხოლო ის ფრაგმენტული კვლევები, რაც უნივერსიტეტებში მიმდინარეობს, არაა საკმარისი იმისათვის, რომ ჩვენ გადავწყვიტოთ კომპლექსურად, ის მნიშვნელოვანი პრობლემები, რაც დღეს სოფლის მეურნეობის წინაშე დგას. კვლევითი ინსტიტუტები, რომელთაც ოდესღაც დიდი აღიარება და საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდათ აღარ არსებობს. ამიტომ, ჩვენ ერთხელ კიდევ გვინდა დავაფიქსიროთ აკადემიის პოზიცია და მთავრობას შევთავაზოთ ჩვენი ხედვა აკადემიის სისტემაში ოთხი კვლევითი ცენტრის შექმნის თაობაზე, ესაა: **მემცენარეობის, მეცხოველეობის, აგრარული ტექნოლოგიების და ეკოლოგიის, კვების პროდუქტების შენახვის და გადამუშავების.**

ასეთი კვლევითი ცენტრების შექმნა აკადემიის სისტემაში, საშუალებას მოგვცემს მოვახდინოთ მაქსიმალური კოორდინაცია ყველა იმ აგრარული პროფილის დარგის, რომელიც პრიორიტეტულია ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარებისათვის.

ამავე დროს, მიზანშეწონილად მიგვაჩნია აკადემიის სისტემაში ჩამოყალიბდეს “ახალი ტექნოლოგიების (ჯიშების) გავრცელების განყოფილება”, რომელიც ზემოთ აღნიშნულ კვლევით ცენტრებთან უშუალო თანამშრომლობით მოახდენს იმ პრაქტიკული ღონისძიებების შერჩევას და გავრცელებას, რომელიც ძალზედ მნიშვნელოვანია დღევანდელი სოფლის მეურნეობისათვის. ეს ღონისძიებები უნდა განხორციელდეს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკონსულტაციო ცენტრებთან ერთობლივი თანამშრომლობით. ასეთი სისტემა მრავალ ქვეყანაშია აპრობირებული და ის ჩვენთანაც უნდა შემოვიღოთ, რათა დავანახოთ ფერმერებს უპირატესობა ახალი პროგრესული

ღონისძიებების, სხვა მეთოდებთან შედარებით.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჩვენი ფერმერების ცოდნის დონე სასურველზე დაბალია. ამ საკითხის სწორედ გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს ჩვენმა აკადემიამ. ამ მიზნით განსაზღვრული გვაქვს შევქმნათ “ფერმერთა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი კურსები”, რომელსაც უხელმძღვანელებენ აკადემიის გამოცდილი სპეციალისტები. ასეთი კურსები პირველ ეტაპზე შესაძლებელია იყოს სახელმწიფო დაფინანსებით, შემდგომში კი თავიანთი სწავლება თვითონ ფერმერებმა უნდა დააფინანსონ. კურსები იქნება მოკლევადიანი (1-3 თვე) და გრძელვადიანი (6 თვემდე), სადაც ფერმერები გაცნობიან სასოფლო – სამეურნეო კულტურათა მოვლა – მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიებს, საბაზრო ურთიერთობებს, კოოპერირების საკითხებს და მრავალ სხვა საკითხს, რომელთა ცოდნაც თანამედროვე ფერმერისათვის აუცილებელია.

აღნიშნული ღონისძიების განხორციელებას მხარს უჭერს სოფლის მეურნეობის სამინისტრო. საკითხი მხოლოდ მის დაფინანსებაშია. კონცეფცია და პროგრამა ასეთი კურსების ჩამოყალიბების, უკვე დამუშავებულია (აკად. ო. ქეშელაშვილი), ახლა საჭიროა მისი პრაქტიკული რეალიზება და დაფინანსება.

უაღრესად მნიშვნელოვანია ახალგაზრდა აგრარიკოს მეცნიერთა მომზადების საკითხი. წლების წინ აკადემიის სისტემაში ფუნქციონირებდა ასპირანტურა და ხარისხის მიმნიჭებელი საბჭოები, რომლებიც განაწილებული იყო დარგობრივ ინსტიტუტებში. ამჟამად ყველაფერი ეს, დოქტორანტურის სახით, არის აგრარული და ნაწილობრივ ტექნიკური უნივერსიტეტების სისტემაში, რაც ჩვენის აზრით ვერ აკმაყოფილებს დღევანდელ მოთხოვნებს. ამავე დროს, დოქტორანტების მიერ მომზადებული დისერტაციების დიდი ნაწილი ვერ პასუხობენ თანამედროვე კვლევის მოთხოვნებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია შეიქმნას აკადემიის სისტემაში დოქტორანტურა და ხარისხის მიმნიჭებელი საბჭოები, რისი გამოცდილებაც აკადემიას წარსულ წლებში ჰქონდა.

ასეთი მოსაზრება ჩვენის აზრით სწორია. ეს მსოფლიო პრაქტიკამაც დაადასტურა (ჩინეთი, სამხრეთ კორეა, რუსეთი, უკრაინა, ტაჯიკეთი და სხვა) და ეჭვი არ მეპარება, რომ მას მხარს უჭერს აკადემიის ყველა წევრი. თუმცა ჩვენი მოსაზრება ერთია და რეალობა კი სხვა. დღეს აგრარულ დარგს სამეცნიერო მომსახურებას უწევს ან შექმნის პროცესშია 5 ორგანიზაცია, აგრარული უნივერსიტეტი, ტექნიკური უნივერსიტეტი, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ეროვნული აკადემიის სოფლის მეურნეობის განყოფილება და ჩვენი აკადემია. აქ ჩვენ ყველამ უნდა ვიფიქროთ იმაზე, თუ როგორი სახის კოორდინაცია უნდა არსებობდეს ამ ორგანიზაციებს შორის, რათა მოვახდინოთ ძალების სწორი კონცენტრაცია და კოორდინაცია (რაც კანონითაც გვევალება). ძალზედ ართულებს საქმეს ის, რომ ყველა ეს კვლევითი ორგანიზაცია სხვადასხვა უწყებრივ დაქვემდებარებაშია, პირველ რიგში ჩვენის აზრით, სწორი კოორდინაციის

მიზნით, უნდა გავაგრძელოთ მუშაობა ხელშეკრულებების გზით, ამავე დროს, ვფიქრობთ კარგი იქნება შევქმნათ ერთიანი საკოორდინაციო საბჭო, სადაც გაერთიანდება ზევით აღნიშნული კვლევითი ორგანიზაციების წარმომადგენლები. საინტერესოა კრების მონაწილეთა მოსაზრებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ცალკე მინდა გამოვეყო ზოგიერთი საკითხი, რაზეც მიმდინარე წელს ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას დაუეთმობთ. პირველ რიგში ესაა: ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება. ამ მიმართებით აკადემიის სისტემაში ადრეც და ახლაც მრავალი საკითხი ისწავლება, თუმცა ერთიანი სისტემა, თუ როგორ ვაწარმოოთ სხვადასხვა სასოფლო – სამეურნეო კულტურა, არა გვაქვს, არა და ეს აკადემიის პირდაპირი ამოცანაა. ამიტომ ვფიქრობთ უახლოეს პერიოდში შევქმნათ მეცნიერთა ჯგუფები, რომლებიც ამ საკითხებზე იმუშავენ. აქ საჭირო იქნება ჩაერთონ მეცენარეები, მიწათმოქმედები, აგროქიმიკოსები, მცენარეთა დამცველები, ეკოლოგები, გადაამუშავების სპეციალისტები და სხვა. ჩვენ უნდა შევიმუშაოთ პრაქტიკული წინადადებები, რომელიც გადაეცემა სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეალიზაციისთვის. რეკომენდაციებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვთა კვებისათვის გასათვალისწინებელ ღონისძიებებს. ჩვენთვის ცნობილია, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთ – ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა სწორედ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება, რაც ევროპის ბაზარზე გასვლის ძირითადი პირობა იქნება.

მნიშვნელოვანია მეთესლეობის განვითარება. ეს ის საკითხია რის გარეშეც სოფლის მეურნეობის განვითარება წარმოუდგენელია. მეთესლეობის სახელმწიფო სისტემა აღარ არსებობს. საჭიროა ძირითადი აქცენტი გადავიტანოთ კერძო სექტორზე, თუნდაც ისეთზე როგორცაა ფირმა “ლომთაგორა”. ესაა ბატონებო საუკეთესო ფორმა თუ როგორ უნდა ითანამშრომლონ საერთაშორისო ცენტრებმა (იკარდა, სიმბიტი), ქართველმა მეცნიერებმა (ზ. ჯინჯიხაძე, ნ. ჩხუტიაშვილი და სხვები) და შპს “ლომთაგორას” ხელმძღვანელობამ (ბატონი კახა ლაშვი). მე ბევრჯერ მითქვამს, რომ თუ საქართველოში იქნება რამდენიმე ასეთი ფირმა ვინც ახალი ჯიშების შექმნასა და გავრცელებაზე იმუშაებს, საკითხი დადებითად გადაწყდება. საჭირო იქნება ჩვენმა აკადემიამ ამ საკითხზე კარგად გააზრებული და ჩამოყალიბებული აზრი შეიმუშაოს, რისთვისაც დაგვჭირდება სპეციალისტებისგან შემდგარი ძლიერი ჯგუფის ჩამოყალიბება, რომელიც სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად იმუშაებს ამ კონკრეტულ პრობლემაზე.

ამავე დროს, მიმდინარე წელს დაგვჭირდება სერიოზული მუშაობა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორცაა: სოფლის მეურნეობის დარგების განვითარების კონცეფცია, ფერმერთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსები, მემორანდუმები გაფორმდა მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან, სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, ტექნიკურ უნივერსიტეტთან და

სხვა, აკადემიის წესდებაში ცვლილებების შეტანა, ახალი წევრების მიღებასთან დაკავშირებით, რაც აკადემიის მიღვევადობის პრობლემას მოსხნის, საერთაშორისო კონფერენციის “კლიმატის ცვლილებებზე” ჩატარება, საკანონმდებლო ინიციატივები და სხვა მრავალი საკითხი, რომლებიც მუშაობის პერიოდში წამოიჭრება.

ასეთი პრობლემატური საკითხები კი ბევრია, თუნდაც სურსათის უვნებლობის საკითხი, რაც ჩვენი მოსახლეობისათვის ერთ – ერთი მტკივნეული საკითხია, კადრების მომზადება, სხვადასხვა სასოფლო – სამეურნეო კულტურის მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიების დამუშავება და გამოქვეყნება და კიდევ სხვა მრავალი, რაზეც ვფიქრობ აკადემიის წევრები თავიანთ გამოსვლებში ფართოდ ილაპარაკებენ.

აღსანიშნავია ის პოზიტიური ცვლილებები, რაც განხორციელდა აკადემიაში, კერძოდ: 8

ახალი აკადემიის ნამდვილი წევრის არჩევა და პონორარების რეგულირება, რაც საქართველოს პარლამენტის და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით განხორციელდა.

ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ მიმდინარე წელს პირველად აკადემიაში ჩატარდა კონკურსი და არჩეული იქნა წლის საუკეთესო მეცნიერები აკად. ოქტომბრის მთვლილი, აკად. შკაბალაგანიძე, აკად. გ. აგლაძე და აკად. წ/კ ოლიპარტელიანი.

და ბოლოს, იმედს გამოვთქვამ, რომ საქართველოს პარლამენტის და მთავრობის მხარდაჭერით, აკადემიის ყველა წევრთან ერთად, მომავალშიც გავაგრძელებთ აქტიურ მუშაობას საქართველოს სოფლის მეურნეობის პრობლემატური საკითხების გადაწყვეტაზე, რასაც დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენი სოფლის მეურნეობის შემდგომი წინსვლისათვის.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების ანგარიშები 2013 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2014 წლის 31 იანვარს მოისმინა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების ანგარიშები 2013 წელს გაწეული მუშაობის შესახებ. მომხსენებლები: **აკადემიკოს-მდივანი გოგოლა მარგველაშვილი** - აგრონომიული სამეცნიერო განყოფილება; **აკადემიკოს-მდივანი ზურაბ ცქიტიშვილი** - მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამამუშავების სამეცნიერო განყოფილება; **აკადემიკოს-მდივანი რევაზ მახარობლიძე** - აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილება; **აკადემიკოს-მდივანი ომარ ქეშელაშვილი** ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილება; **სწავლული მდივანი აკადემიური დოქტორი ანატოლი გიორგაძე**;

აგრონომიული სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა გოგოლა მარგველაშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგრონომიულ საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილებაში გაერთიანებულია აკადემიის 20 წევრი, მათ შორის აკადემიის ნამდვილი წევრი 14 და აკადემიის წევრ-კორესპონდენტი 6.

აკადემიკოსები: გალექსიძე, ივასაძე, ზარდალიშვილი ოთარი, მარგველაშვილი გოგოლა, ნასყიდაშვილი პეტრე, ქევიციანი ვლადიმერი, ჩაგელიშვილი რევაზი, ჩანქსელიანი ზაური, ჩხარტიშვილი ნოდარი, ცანავა ვალერიანი, ბადრიშვილი გივი, კვალაიაშვილი ვუა, ონიანი ჯუმბერი, ცაგურიშვილი გივი.

წევრ-კორესპონდენტები: თურმანიძე თამაზი, კილასონია გურამი, ლიპარტელიანი ოთარი, ურუშაძე თენგიზი, ღორჯომელაძე ოთარი, ჯაბნიძე რევაზი.

განყოფილებაში 2013 წელს ჩატარდა 11 სხდომა. პირველი სხდომა ჩატარდა 11 იანვარს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიკოს პეტრე ნასყიდაშვილის 2012 წლის სამეცნიერო საქმიანობის ანგარიშის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი პეტრე ნასყიდაშვილი. 2. აგრონომიული სამეცნიერო დარგობრივი განყოფილებიდან საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად აკადემიკოს გურამ ალექსიძის წარდგინების შესახებ.

მომხსენებელი: აკადემიკოს-მდივანი გოგოლა მარგველაშვილი. მეორე სხდომა ჩატარდა 8 თებერვალს და გან-

ხილული იქნა საკითხები: 1. აგრონომიული განყოფილების ანგარიში 2012 წელს გაწეული მუშაობის შესახებ; **მომხსენებელი:** აკადემიკოს-მდივანი გოგოლა მარგველაშვილი; **სწავლული მდივანი ანატოლი გიორგაძე** 2. აგრონომიული განყოფილების აკადემიკოსებისა და წ/კორესპონდენტების მიერ 2012 წელს ჩატარებული პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგების შესახებ; **მომხსენებელი:** აკადემიკოს-მდივანი გოგოლა მარგველაშვილი; **სწავლული მდივანი ანატოლი გიორგაძე**

მესამე სხდომა ჩატარდა 25 მარტს და განხილული იქნა შემდეგი საკითხები: 1. ჰიბრიდული სიმინდი - მაღალი მოსავლიანობისა და ხარისხის საწინდარი; **მომხსენებელი:** აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ოთარ ლიპარტელიანი;

2. მეხილეობის დარგში არსებული მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში; **მომხსენებელი:** აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გივი ბადრიშვილი;

მეოთხე სხდომა ჩატარდა 4 აპრილს და განხილული იქნა საკითხი: შუალედური კულტურები და მათი როლი სახნავი მიწის ინტენსიურად გამოყენების საქმეში; **მომხსენებელი:** აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გივი ცაგურიშვილი.

მეხუთე სხდომა ჩატარდა 15 აპრილს და განხილული იქნა საკითხები: აგრონომიული საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილებიდან საარჩევნო-საექსპერტო კომისიის მიერ კონკურსში დაშვებული კანდიდატების წინასაარჩევნო მოხსენებები. **მომხსენებელი:** აკადემიის წევრ-კორესპონ-

დენტი გივი ბადრიშვილი; აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თამაზ თურმანიძე; აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვაჟა კვალიაშვილი; აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ოთარ ლიპარტელიანი; აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ჯუმბერ ონიანი; აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გივი ცაგურიშვილი.

2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევასთან დაკავშირებით საარჩევნო-საექსპერტო კომისიის მიერ დაშვებული კანდიდატებისათვის რეკომენდაციის მიცემის შესახებ (ფარული კენჭისყრა).

მექვესე სხდომა ჩატარდა 14 მაისს და განხილული იქნა საკითხი: ნავენახარი და ნაბაღარი ნიღაბების ნაყოფიერების აღდგენის ღონისძიებების შესახებ; მომხსენებელი: აკადემიკოსი ჯუმბერ ონიანი.

მეშვიდე სხდომა ჩატარდა 7 ივნისს და განხილული იქნა საკითხი: პროგრამა "მარცვლის" შესახებ; მომხსენებელი: აკადემიკოსი პეტრე ნასყიდაშვილი

მერვე სხდომა ჩატარდა 4 ივლისს და მოსმენილი იქნა საკითხი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების არსებული მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები; მომხსენებელი: აკად. წ/კ რეზო ჯაბინძე.

მეცხრე სხდომა ჩატარდა 5 აგვისტოს და განხილული იქნა საკითხი: საქართველოში ინტროდუცირებული ხეხილის ახალი ჯიშები და მათი გავრცელების მდგომარეობის შესახებ;

მომხსენებელი: აკადემიკოსი ვაჟა კვალიაშვილი; აკად. დოქტორი ზვიად ბობოქაშვილი;

მეათე სხდომა ჩატარდა 23 ოქტომბერს და განხილული იქნა შემდეგი საკითხები: 1. აგროფიზიკური კვლევები და მისი განვითარების სამომავლო პერსპექტივები

მომხსენებელი: აკად. წ/კ თამაზ თურმანიძე. 2. ახალი კულტურა "ამარანტას" მოშენების პერსპექტივები საქართველოში. მომხსენებლები:

აკადემიკოსი ზაურ ჩანქსელიანი, აკად. დოქტ. იური რამაზაშვილი.

მეთერთმეტე სხდომა ჩატარდა 13 ნოემბერს და განხილული იქნა საკითხი: აკადემიაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამამუშავების საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილების აღდგენის შესახებ;

მომხსენებელი: აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი.

აღსანიშნავია, რომ განყოფილების ორგანიზებით ჩატარდა სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები: სემინარი – მებოსტნეობის პრობლემები და მათი გადაჭრის გზები; მრგვალი მაგიდა მეხილეობის პრობლემებზე საქართველოში; მრგვალი მაგიდა საქართველოს მეტყველების პრობლემებზე; მრგვალი მაგიდა მცენარეთა დაცვის საკითხებზე; მრგვალი მაგიდა სუბტროპიკული კულტურების დარგის განვითარების პრობლემებზე საქართველოში;

მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებ-წარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამამუშავების სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა ზურაბ ცქიტიშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცხოველეობის, ვეტერინარიის და საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამამუშავების საკოორდინაციო-

დარგობრივი სამეცნიერო განყოფილებაში გაერთიანებული იყო 4 წევრი, 4 აკადემიკოსი.

აკადემიკოსები - აგლაძე გოგოთური (გარდაიცვალა 2013 წლის 31 დეკემბერს), გუგუშვილი ჯემალი, ყურაშვილი თენგიზი, ცქიტიშვილი ზურაბი.

განყოფილებაში 2013 წელს ჩატარდა 6 სხდომა. პირველი სხდომა ჩატარდა 1 თებერვალს და

განხილული იქნა საკითხი: 2012 წლის 12 დეკემბერს მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამამუშავების სამეცნიერო დარგობრივი განყოფილების ორგანიზებით მეცხოველეობის პრობლემატურ საკითხებზე გამართული მრგვალი მაგიდის შედეგები და პერსპექტივები, მომხსენებელი: აკადემიკოს მდივანი ზურაბ ცქიტიშვილი.

მეორე სხდომა ჩატარდა 11 თებერვალს და განხილული იქნა შემდეგი საკითხები: მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამამუშავების საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილების ანგარიში 2012 წელს გაწეული მუშაობის შესახებ;

მომხსენებლები - აკადემიკოს-მდივანი ზურაბ ცქიტიშვილი; სწავლული მდივანი ანატოლი გიორგაძე; 2. მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამამუშავების საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილების 2013 წლის აკადემიკოსებისა და წ/კორესპონდენტების მიერ 2012 წელს ჩატარებული პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგების შესახებ; მომხსენებელი - აკადემიკოს-მდივანი ზურაბ ცქიტიშვილი; სწავლული მდივანი ანატოლი გიორგაძე;

მესამე სხდომა ჩატარდა 2 აპრილს და განხილული იქნა საკითხი: მებოსტნეობის განვითარების პერსპექტივები საქართველოში, მომხსენებელი: აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ელგუჯა გუგუშვილი.

მეოთხე სხდომა ჩატარდა 16 აპრილს და განხილული იქნა შემდეგი საკითხები: 1. მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამამუშავების საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილებიდან საარჩევნო-საექსპერტო კომისიის მიერ კონკურსში დაშვებული კანდიდატების წინასაარჩევნო მოხსენებები,

მომხსენებლები: აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ჯემალ გუგუშვილი; აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თენგიზ ყურაშვილი; 2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევასთან დაკავშირებით საარჩევნო-საექსპერტო კომისიის მიერ დაშვებული კანდიდატებისათვის რეკომენდაციის მიცემის შესახებ (ფარული კენჭისყრა).

მეხუთე სხდომა ჩატარდა 21 ოქტომბერს და განხილული იქნა შემდეგი საკითხები: 1. მეცხოველეობის პროდუქტების გადამამუშავებელ საწარმოებში რისკის შეფასების, შიდა კონტროლის (HACCP), პრევენციული სისტემებისა და მიკვლევადობის გამოყენების პრობლემები;

მომხსენებელი: აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი; 2. ინფექციური დაავადებების გავრცელების მდგომარეობა საქართველოში, გასატარებელი ღონისძიებები, მოსალოდნელი საფრთხეების ანალიზი;

მომხსენებელი: აკადემიკოსი **თენგიზ ყურაშვილი** მეექვსე სხდომა ჩატარდა 13 ნოემბერს და განხილული იქნა საკითხი: აკადემიაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილების აღდგენის შესახებ;

მომხსენებელი: აკადემიკოსი **ზურაბ ცქიტიშვილი;** აღსანიშნავია, რომ განყოფილების ორგანიზებით ჩატარდა სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები: პრეზენტაცია - საქართველოს მეცხოველეობის სექტორის განვითარების მეცნიერული და პრაქტიკული ხედვა; მრგვალი მაგიდა მეფუტკრეობის პრობლემატურ საკითხებზე; დამუშავდა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში, ხოლო შემდეგ ფართო საზოგადოებისათვის მოხდა თბილისის რძით მომარაგების გეგმის პრეზენტაცია; საქართველოს მეცხოველეობის განვითარების სტრატეგიის პრეზენტაცია; საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტთან ერთად ორგანიზება გაეწია სემინარს საქართველოში მეცხოველეობის სექტორის განვითარების შესახებ.

განყოფილების მიერ მიმდინარე წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში გაგზავნილი იქნა ორი წერილი: თბილისის რძით მომარაგების შესახებ და მეფუტკრეობაში სელექციის მნიშვნელოვან საკითხებზე.

საინჟინრო სამეცნიერო განყოფილების

აკადემიკოს-მდივანმა რევაზ მახარობლიძემ აღნიშნა, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საინჟინრო საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილებაში გაერთიანებულია აკადემიის 13 წევრი, მათ შორის აკადემიის ნამდვილი წევრი 8 და აკადემიის წევრ-კორესპონდენტი 5.

აკადემიკოსები: ბალათურია ნუგზარი, დიდებულისძე ალექსანდრე, ვაშაკიძე არჩილი, კაციტაძე ჯემალი, მახარობლიძე რევაზი, ნანიტაშვილი თენგიზი, პაპუნძიე გურამი, ჭალაგანიძე შოთა.

წევრ-კორესპონდენტები: ბედია ომარი, გაბუნია ნოდარი, თევზაძე ვახტანგი (გარდაიცვალა 2013 წლის მაისი), სარიშვილი დავითი, შაფაქიძე ელგუჯა. განყოფილებაში 2013 წელს ჩატარდა 7 სხდომა.

პირველი სხდომა ჩატარდა 18 იანვარს და განხილული იქნა საკითხები: 1. ცვლილებები საქართველოს კანონში ვაზისა და ღვინის შესახებ;

მომხსენებელი: აკადემიკოსი **ნუგზარ ბალათურია;**

2. საინჟინრო სამეცნიერო დარგობრივი განყოფილებიდან საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად აკადემიკოს გურამ ალექსიძის წარდგინების შესახებ; **მომხსენებელი:** აკადემიკოს-მდივანი რევაზ მახარობლიძე

მეორე სხდომა ჩატარდა 5 მარტს და განხილული იქნა შემდეგი საკითხები: 1. პიდრომელი-ორაციის არსებული მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში.

მომხსენებელი: აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **ვახტანგ თევზაძე**

2. საინჟინრო სამეცნიერო დარგობრივი განყოფილების 2012 წლის ანგარიშის შესახებ.

მომხსენებლები: აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის ხელმძღვანელი, აკადემიის წევრ-

კორესპონდენტი ელგუჯა შაფაქიძე; აკადემიის სწავლული მდივანი აკად. დოქტორი ანატოლი გიორგაძე;

3. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურ საბჭოზე დამტკიცებული ეროვნული კოორდინატორების შესახებ;

მომხსენებელი: აკადემიკოს მდივანი რევაზ მახარობლიძე;

მესამე სხდომა ჩატარდა 3 აპრილს და განხილული იქნა შემდეგი საკითხები: 1. მეაბრეშუმეობაში სამანქანო ტექნოლოგიების და ტექნიკური საშუალებების დანერგვის პერსპექტივები;

მომხსენებელი: აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **ელგუჯა შაფაქიძე;**

2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საინჟინრო საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილების 2013 წლის 18 იანვრის სხდომაზე განხილული საკითხის („ცვლილებები საქართველოს კანონში ვაზისა და ღვინის შესახებ“ – მომხსენებელი აკად. ნ. ბალათურია) დადგენილების შესახებ.

მომხსენებელი: აკადემიკოსი **ნუგზარ ბალათურია;**

მეოთხე სხდომა ჩატარდა 17 აპრილს და განხილული იქნა შემდეგი საკითხები: 1. საინჟინრო საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილებიდან საარჩევნო-საექსპერტო კომისიის მიერ კონკურსში დაშვებული კანდიდატის წინასაარჩევნო მოხსენება. **მომხსენებელი:** აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **გურამ პაპუნძიე.** 2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევასთან დაკავშირებით საარჩევნო-საექსპერტო კომისიის მიერ დაშვებული კანდიდატისათვის რეკომენდაციის მიცემის შესახებ (**ფარული კენჭისყრა**).

მეხუთე სხდომა ჩატარდა 15 მაისს და განხილული იქნა შემდეგი საკითხები: 1. საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მელიორაციის მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები.

მომხსენებელი: ტ.მ. დოქტორი **ირაკლი ყრუაშვილი.**

2. აგროსაინჟინრო სფეროს განვითარების სტრატეგიის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე

3. მოქალაქე ვლადიმერ მირუაშვილის განცხადების შესახებ.

მომხსენებელი: აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **ელგუჯა შაფაქიძე.**

მექვსე სხდომა ჩატარდა 10 ივლისს და განხილული იქნა შემდეგი საკითხები: 1. ბუღგარეთის ქ. ვარნაში გამართული საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის შესახებ.

მომხსენებელი: აკადემიკოსი **ჯემალ კაციტაძე;**

2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის დავით გალეგაშვილის წერილის შესახებ (მოქ. ვასილ ჩხიკვაძის წერილთან დაკავშირებით).

მომხსენებელი: აკად. დოქტორი **გივი მოსაშვილი.**

მეშვიდე სხდომა ჩატარდა 13 სექტემბერს და განხილული იქნა შემდეგი საკითხები: 1. მოქალაქე კუკური ფიფიას წერილის შესახებ.

მომხსენებელი: აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე **2.** განათლების სამინისტროს 120/5 ბრძანებაში „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესახებ“ შესწორებებისა და დამატებების შესახებ.

მომხსენებელი: აკადემიკოსი ნუგზარ ბალათურია 3. სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამამუშავების საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილების აღდგენის შესახებ.

მომხსენებელი: აკადემიკოსი ნუგზარ ბალათურია აღსანიშნავია, რომ განყოფილების ორგანიზებით ჩატარდა სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები: საქართველოს სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის ინოვაციური განვითარების კონცეფციის პრეზენტაცია; საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა მრგვალი მაგიდა; განხილული იქნა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში გაიგზავნა სამი დასკვნა სხვადასხვა ავტორების გამოგონებებთან დაკავშირებით.

ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა ომარ ქეშელაშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილებაში გაერთიანებულია აკადემიის 8 წევრი, მათ შორის აკადემიის ნამდვილი წევრი 6 და აკადემიის წევრ-კორესპონდენტი 2.

აკადემიკოსები: ასათიანი რევაზი, კუნჭულია თამაზი, ქარქაშაძე ნაპოლეონი, ქეშელაშვილი ომარი, ჭითანავა ნოდარი, ჯაფარიძე გივი.

წევრ-კორესპონდენტები: კოლუაშვილი პაატა, ნიკოლეიშვილი გიორგი.

განყოფილებაში 2013 წელს ჩატარდა 6 სხდომა. პირველი სხდომა ჩატარდა 13 მარტს და განხილული იქნა საკითხები: 1. ეკონომიკის სამეცნიერო დარგობრივი განყოფილების 2012 წლის მუშაობის ანგარიში. **მომხსენებლები:** განყოფილების აკადემიკოს მდივანი, აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშაძე, აკადემიის სწავლული მდივანი, აკად. დოქტორი ანატოლი გიორგაძე 2. ეკონომიკის საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს მდივნის არჩევნები.

მეორე სხდომა ჩატარდა 15 აპრილს და განხილული იქნა შემდეგი საკითხები: 1. ეკონომიკის საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილებიდან საარჩევნო-საექსპერტო კომისიის მიერ კონკურსში

დაშვებული კანდიდატის წინასაარჩევნო მოხსენება. **მომხსენებლები:** აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თამაზ კუნჭულია. 2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევასთან დაკავშირებით საარჩევნო-საექსპერტო კომისიის მიერ დაშვებული კანდიდატისათვის რეკომენდაციის მიცემის შესახებ (ფარული კენჭისყრა).

მესამე სხდომა ჩატარდა 11 ივნისს და განხილული იქნა შემდეგი საკითხები: 1. აგრარული სექტორის ტექნოლოგიურ-რესურსული პოტენციალის ზრდის სტრატეგიული სისტემის შესახებ; **მომხსენებელი:** განყოფილების აკადემიკოს მდივანი, აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი.

2. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისა და კორპორაციების ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმები.

მომხსენებელი: მთავარი სპეციალისტი ბადრი ცერცვაძე, აკად. დოქტორი ასლან დევაძე.

მეოთხე სხდომა ჩატარდა 12 ივლისს და განხილული იქნა შემდეგი საკითხი: საქართველოში წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის პრობლემები;

მომხსენებელი: აკადემიკოსი თამაზ კუნჭულია მეხუთე სხდომა ჩატარდა 18 ოქტომბერს და განხილული იქნა შემდეგი საკითხი: შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდი – განვლილი გზა და ახალი გამოწვევები;

მომხსენებელი: აკადემიკოსი რეზო ასათიანი.

მექექსე სხდომა ჩატარდა 13 ნოემბერს და განხილული იქნა საკითხი: აკადემიაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამამუშავების საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილების აღდგენის შესახებ;

მომხსენებელი: აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი;

აღსანიშნავია, რომ განყოფილების ორგანიზებით ჩატარდა სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები: აგრარული სექტორის თანამედროვე მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები

(მომხსენებელი აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა); სემინარი - მეაბრეშუმეობის განვითარების პრობლემები საქართველოში.

მცირე მეწარმეობის განვითარების კონცეფცია სოფლის მეურნეობაში

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2014 წლის 31 იანვარს მოისმინა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ნუგზარ ბალათურიას მოხსენება “მცირე მეწარმეობის განვითარების კონცეფცია სოფლის მეურნეობაში”.

აღინიშნა, რომ საქართველოში ყოველწლიურად გამოუყენებელი რჩება ხილ-კენკროვანთა ნაყოფის, ყურმის, მანდარინის საკმაოდ დიდი რაოდენობა, რომელსაც არ იბარებენ არსებული ქარხნები. კახეთში ატმის წარმოებამ მიაღწია 10-15 ათას ტონას, რის გამოც მოსახლეობა ითხოვს მოვიძიოთ ამ ძვირფასი ნედლეულის რეალიზაციის გზები. აჭარასა და გურიაში ყოველწლიურად ასეული ტონობით მანდარინის ნაყოფი იყრება.

ცნობილია, რომ ვაშლის, მსხლის, ატმისა და მანდარინის მოსავლის 30-40% წარმოადგენს არასტანდარტულ ნედლეულს, რომლებიც წინათ

სამრეწველო გადამამუშავებისათვის გამოიყენებოდა. საამისოდ ფუნქციონირებდა 80-ზე მეტი საკონსერვო ქარხანა, ეთერ-ზეთოვანი ნედლეულის გადამამუშავებელი 28 მეურნეობა-ქარხანა და ა.შ., რომელთაგან დღეს პრაქტიკულად არცერთი აღარ არსებობს.

სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის აღორძინების მიზნით, ჩვენი აზრით, უნდა გამოვიყენოთ საფრანგეთის, იტალიის, ავსტრალიისა და სხვა ქვეყნების გამოცდილება, ფერმერულ მეურნეობებში მცირე წარმოების მოწყობის შესახებ. მაგალითად, საფრანგეთში

ფერმერულ მეურნეობებში ნახევარფაბრიკატების სახით ყურძნისაგან ღებულობენ ღვინის დისტილატებს, უნგრეთსა და იტალიაში ხილ-კენკროვანთა სპირტებს, ავსტრალიაში ევკალიპტის ეთეროვან ზეთებს და ა.შ. სოფლად დამზადებულ ნახევარფაბრიკატებს - ნედლ სპირტებსა და ზეთებს იბარებს სპეციალიზირებული ქარხანა, სადაც აღნიშნული ნახევარფაბრიკატებიდან სასაქონლო პროდუქცია მიიღება.

ჩვენთან არსებული ნედლეულის რესურსების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია გლეხობას ღვინით დაურიგდეს მინი – ტექნოლოგიური დანადგარ-მოწყობილობები, რომლითაც ისინი შესძლებენ აწარმოონ ატმის, ვაშლის ყურძნის ნედლი სპირტები ნახევარფაბრიკატების სახით, რომელთა შემდგომი გადამამუშავება

ბა მოხდება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის სამეცნიეროკვლევითი ინსტიტუტის ექსპერიმენტალურ ქარხნებში. ნედლი სპირტების გადამამუშავების აქ დაგროვილ გამოცდილებას შემდგომში სხვა ქარხნებიც გადაიღებენ.

ამ ღონისძიების გატარება უფრო ეფექტური იქნება მომავალი სეზონისათვის, ვიდრე ის მაგნე პრაქტიკა, როდესაც სახელმწიფო ანაზღაურებს ყურძნის ღირებულების მნიშვნელოვან ნაწილს, რომლისაგანაც მიღებული ღვინის რეალიზაცია დღემდე რჩება გადაუჭრელ პრობლემად ცნობილი მიზეზების გამო. ფერმერს ხელი უნდა შეეწყოს არა ნედლეულის გასაღებაში, არამედ მისსივე ნედლეულიდან პროდუქციის შექმნაში. ეს გაცილებით მეტ სარგებელს მოუტონს ფერმერსაც და ქვეყანასაც.

შემოდგომა ზამთრის პერიოდში რძის დეფიციტის არსებობის გამო მცენარეული ცხიმების მოხმარებით გამოწვეული საფრთხეების შესახებ

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2014 წლის 28 მარტს მოისმინა აკადემიკოს ზურაბ ცქიტიშვილის მოხსენება “შემოდგომა ზამთრის პერიოდში რძის დეფიციტის არსებობის გამო მცენარეული ცხიმების მოხმარებით გამოწვეული საფრთხეების შესახებ”

მეცხოველეობაში არსებული მძიმე მდგომარეობა (დაავადებები, დაბალპროდუქტიულობა, ლაქტაციის სეზონურობა და სხვა) უარყოფითად აისახება გადამამუშავებელ საწარმოებში. კერძოდ, შემოდგომა-ზამთრის პერიოდში (სეზონში) რძის რესურსების დეფიციტის გამო რძის საწარმოები პროდუქტებს ამზადებენ მშრალი უცხიმო რძის ფხვნილისა და მცენარეული ჰიდროგენიზირებული ცხიმის გამოყენებით.

იმისათვის, რომ მივიღოთ რძის ცხიმის შემცველი ცხიმები, საჭიროა მცენარეული ცხიმების მოდიფიცირება, რაც იწვევს ამ ცხიმების საწყისი თვისებების შეცვლას. იგი მიიღწევა ცხიმების ჰიდროგენიზაციისა და პერეეთერიფიკაციის დროს.


ცხიმებისა და ზეთების ჰიდროგენიზაცია მიმდინარეობს 180°C-240°C ტემპერატურაზე სპეციალური კატალიზატორების გამოყენებით ერთ ატმოსფერო წნევის პირობებში.

ჰიდროგენიზაციის ამოცანაა წყალბადის მიერთებით უჯერ ცხიმოვან მჟავებთან ტრიგლიცერიდების ცხიმოვანი მჟავების შემადგენლობის შეცვლა.

ჰიდროგენიზაციის ძირითადი პროცესი უკავშირდება წყალბადის მიერთებას უჯერ ცხიმოვან მჟავებთან ორმაგ კავშირს.


ამ პროცესის შედეგად მიღებული პროდუქტის თვისებები დამოკიდებულია მიმდინარე რეაქციის პირობებზე (რომელსაც წინასწარ ადგენენ იმის და მიხედვით, თუ როგორი პროდუქტის მიღება სურთ), ამიტომ თავიდან იწყება ლინოლენის მჟავის ნაშთის ჰიდრირება ლინოლის მჟავის მიღებამდე, შემდეგ ლინოლის მჟავიდან ოლეინის მჟავამდე, ხოლო ამის შემდეგ ოლეინის მჟავის ნაშთის ჰიდრირება სტეარინ-

ნის მჟავამდე.



წყალბადის ორმაგ კავშირთან (ჰიდრირება) მიერთების პარალელურად მიმდინარეობს სტრუქტურული (გადანაცვლება C=C კავშირი) და გეომეტრიული (სივრცითი განთავსების შეცვლა H და CH₂ ჯგუფების C=C კავშირის) იზომერიზაცია, რასაც მივყავართ საბოლოო პროდუქტში ტრანს-იზომერების დაგროვებასთან (30%-ზე ზევით). ამ დროს ტრანს-იზომერი ძროხის რძის ცხიმიდან დამზადებულ კარაქში 8%-მდეა.

ასეთი შემადგენლობის რძის ცხიმის შემცველების გამოყენება მეცნიერთა კვლევების შედეგად იწვევს ონკოლოგიურ დაავადებებს.



რაც შეეხება პერეეთერიფიკაციის პროცესს, ამ დროს მიმდინარეობს ცხიმ მჟავებში შიდამოლეკულური პერეეთერიფიკაცია, რომლის დროსაც იცვლება ცხიმ მჟავების ურთიერთ განლაგება ტრიგლიცერიდებში.

პროცესი მიმდინარეობს 80-90°C-ზე სპეციალური კატალიზატორის გამოყენებით. პერეეთერიფიკაცია არ იწვევს ცხიმ მჟავების სტრუქტურულ

ტრანსფორმირებას და ტრანს-იზომერების წარმოქმნას. პერეეთერიფიკაციის მეთოდით ძირითადად ამუშავებენ მაღალი დნობის ტემპერატურის მქონე მცენარეულ ცხიმებს (პალმა და ქოქოსი). ამ მეთოდით მიიღება შესაბამისი თვისებების მქონე პლასტიკური კონსისტენციის ცხიმები.

მეცხოველეობის დარგში არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად მნიშვნელოვანია შემდეგი ღონისძიებების გატარება: ჯანსაღი და პროდუქტიული გენეტიკურად მდგრადი და ადაპტირებული ჯიშების შემოყვანა განვითარებული ქვეყნებიდან; ამ ჯიშების შესაბამისი ფერმების მშენებლობა (იგულისხმება "კეთილდღეობის" პირობების შექმნა); შესაბამისი კომპლექსური ვეტერინარული ღონისძიებების განხორციელება; საკვებწარმოების განვითარება;

მა; ცხოველთა საკვების დაბალანსებული კვების რაციონის მომზადება (ზოოტექნიკური სამსახურის გაძლიერება); სანაშენე საქმიანობის დაწყება-გაძლიერება; პირველადი წარმოების დონეზე ფერმერთა განათლება და სხვა.

მეცხოველეობის დარგში შესაბამისი შედეგების მიღებამდე საჭიროა: ქვეყანაში დადგინდეს მცენარეულ ცხიმებში ტრანს-იზომერების ოდენობის ნორმატივი; დადგინდეს ლაბორატორიული კვლევის მეთოდოლოგია არსებული ნორმატივის დასადასტურებლად; რძის ცხიმის დეფიციტთან დაკავშირებით მცენარეული ცხიმების ჩანაცვლება განხორციელდეს 26% ცხიმთანობის შემცველი ფხვნილით დამზადებული ალდგენილი რძის სეპარირების შედეგად მიღებული ნაღების გამოყენებით და სხვა.

შემოდგომაზე თუთის გაუხეშებული ფოთლისაგან მეცხოველეობის არატრადიციული საკვების (ნეკერის) დამზადება, მიზანშეწონილობა და ეფექტურობა

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2014 წლის 28 მარტს მოისმინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის გიორგი ნიკოლეიშვილისა და აკად. დოქტორის თინათინ დალალიშვილის მოხსენება: "შემოდგომაზე თუთის გაუხეშებული ფოთლისაგან მეცხოველეობის არატრადიციული საკვების (ნეკერის) დამზადება, მიზანშეწონილობა და ეფექტურობა".

საქართველოში ძნელად მოიპოვება სხვა ისეთი მცენარე, რომელსაც თუთის მსგავსად მრავალმხრივი გამოყენება ჰქონდეს. თუთის სასარგებლო თვისებები საშუალებას იძლევა განხორციელდეს უნარჩუნო ტექნოლოგია, ამიტომ ბუნებრივია ძლიერდება სამეურნეო დანიშნულებით მისი გამოყენების ინტერესი. თუთის ნაყოფისაგან ჩვენში მრავალგვარი საკვები დანიშნულების პროდუქტების მომზადების ხალხური ტრადიციები არსებობს, მაგრამ ფოთლის და ღეროს გამოყენება ე.წ. "ნეკერისა" და ფქვილის დასამზადებლად ცხოველთა ზამთრის საკვებად ჯერ კიდევ შესწავლის ფაზაშია.

მთიანი აჭარის ადგილობრივი მოსახლეობა (სადაც სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგი მემცენარეობასთან ერთად მეცხოველეობაა) პირუტყვის ზამთრის საკვებად (სახნავ-სათესი სავარგულების სიმცირის გამო) იყენებს წიფლის, ნეკერჩხლის, მუხის, ცაცხვის და სხვა ფოთლოვანი მცენარეულობისაგან დამზადებულ "ნეკერის". როგორც ლიტერატურული წყაროებით (გ.ნიკოლეიშვილი 2003, ა.კოროხაშვილი 2003 და სხვ) დასტურდება შემოდგომაზე გაუხეშებული თუთის ფოთლის 1 კგ. მშრალ მასაში საკვები ერთეულების რაოდენობა მდელის თივის იგივე მანქანებელს აღემატება 29,3%-ით, ნეკერჩხალს-55,0%-ით, პარკოსან მცენარეთა ნარჩენებს 25,3% და ა.შ. ასევე ჯობის როგორც სამყურას თივას 8,5%-ით, ისე იონჯის-15,4%-ით (გ. ნიკოლეიშვილი 2010).

თუთის ფოთლი შედგება წყლისა და მშრალი ნივთიერებებისაგან, რომელთა თანაფარდობა განაპირობებს მის მაღალ კვებით ღირებულებას მშრალი ნივთიერებებიდან თუთის ფოთოლში უხვადაა, ორგანული და მინერალური ნივთიერებები, ვიტამინები, მიკროელემენტები, უაზოტო

ექსტრაქტული ნივთიერებები და სხვა. მათი ჩართვა ცხოველთა კვების რაციონში (როგორც მწვანე, ისე გაუხეშებული), ზრდის ძროხის წველადობას, რძეში ცხიმთანობას, ამადლებს კურდღლების პროდუქტიულობას, ძალზე ეფექტურია მეცხვარეობასა და მეფრინველეობაშიც.

გარდა ამისა მეცხოველეობისათვის ტყის მცენარეულობით "ნეკერის" დამზადება უაღრესად შრომატევადი და ნაკლებყუათიანია, თუთა კი გარდა იმისა, რომ ივითარებს დიდი ზომის ფოთლებს, უფრო ინტენსიურადაა შეფოთილი, გამხმარი ფოთოლიც ტოტზე რჩება, დიდი უპირატესობით გამოირჩევა სხვა მცენარეებისაგან საყუათო საკვები ნივთიერების შემცველობით როგორც ფოთოლში ისე ყლორტშიც.

ჩვენს მიერ ქედას რაიონის სოფ. მერისის მაგალითზე საანგარიშო პერიოდში მოსინჯვითი სამუშაოები ჩატარდა თუთის მწვანე ფოთლისა და ყლორტის ქიმიური შესწავლისთვის. აღმოჩნდა, რომ როგორც ფოთოლი ისე "ნეკერი" და მზარდი ყლორტიც მდიდარია საკვები ნივთიერებით, მაღალია მასში ცილების, ცხიმებისა და ნახშირწყლების შემცველობა, შესაბამისად მაღალია ფოთლისა და ყლორტის კვებითი ღირებულება.

საზრდო ნივთიერებების შემცველობის მიხედვით ყუათიანობის გაანგარიშებით, ფოთლის კვებითმა ღირებულებამ ნატურალურ მდგომარეობაში 0,85 საკვები ერთეული შეადგინა, ნეკერში 0,48, ხოლო ტოტებში 0,36.

ამრიგად, საზრდო ნივთიერებების შემცველობისა და კვებითი ღირებულების მიხედვით თუთის ფოთოლი და ნეკერი საკმაოდ ყუათიანია და მისი გამოყენება შეიძლება არამარტო მცოხნავების, არამედ მონოგასტრული ცხოველების კვებაშიც.

**მრგვალი მაგიდა
სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთობლივი თანამშრომლობით 2014 წლის 6 თებერვალს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარდა მრგვალი მაგიდა თემაზე: “სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების როლი აგრარული სექტორის განვითარებაში”.

მრგვალი მაგიდის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო სსმმ აკადემიის აკადემიური საბჭოს წევრებმა, სოფლის მეურნეობის სამინისტროს დეპარტამენტების წარმომადგენლებმა, საქართველოს რაიონების საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის თანამშრომლებმა, ფერმერებმა და სხვა.

სხდომა გახსნა აკადემიის პრეზიდენტმა, საქართველოს სსმმ აკადემიის აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ. სიტყვით გამოვიდნენ: საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი შალვა ფიფია, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი მიშელაძე, საქართველოს სსმმ აკადემიის აკადემიკოსები: თამაზ კუნჭულია, ნაპოლეონ ქარქაშაძე, ნოდარ ჭითანავა, ომარ ქეშელაშვილი, აკადემიის წევრ/კორესპონდენტი პაატა კოლუაშვილი.

აღინიშნა, რომ ხელისუფლებამ ფერმერთა/- გლეხთა ნებაყოფლობითი, სარგებელზე ორიენტირებული კოოპერაციის განვითარება აგრარული პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად აირჩია, რადგან კოოპერატივების ჩამოყალიბებამ ხელი უნდა შეუწყოს სოფლად დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნასა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას; კოოპერაციამ მოსავლიანობის გაზრდა და დანახარჯების შემცირება უნდა უზრუნველყოს; კოოპერატივებში გაწევრიანებული ფერმერებისათვის/გლეხებისათვის უფრო ხელმისაწვდომი გახდება როგორც ფინანსური რესურსი, ასევე პროდუქციის სარეალიზაციო ბაზრები ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ. მთავრობის მიზანია,

როგორც მინისტრმა შალვა ფიფიამ განაცხადა, “გავაძლიეროთ ფერმერები/გლეხები, გავაძლიეროთ ადგილობრივი წარმოება. უნდა განხორციელდეს ყველა სახელმწიფო პროექტი, მათ შორის კოოპერატივების განვითარების ხელშეწყობა, რაც საგადასახადო შეღავათებს, ფინანსურ რესურსთან ხელმისაწვდომობას, კვალიფიკაციის ასამაღლებელ სასწავლო პროექტებს გულისხმობს და ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერებაზე ორიენტირებული”.

სხდომაზე საუბარი შეეხო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს მიერ განხორციელებულ და დაგეგმილ ღონისძიებებს. ასევე აღინიშნა, რომ ხელისუფლებამ შეიმუშავა შესაბამის საკანონმდებლო ბაზა, რომელიც საქართველოს პარლამენტმა მიიღო 2013 წლის 12 ივლისს. აღნიშნული კანონის მიღების საფუძველზე შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი “სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო”, რომელიც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის სტატუსის მინიჭებას, შეწყვეტას, მონიტორინგსა და სახელმწიფო პროგრამების განხორციელებას უზრუნველყოფს. როგორც აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ აღნიშნა; “ამ ეტაპზე უადრესად მნიშვნელოვანია საზოგადოების სწორად ინფორმირება, სამეცნიერო წრეების ჩართულობა, მათი გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარება”.

შეხვედრის დასასრულს გაიმართა დისკუსია ზემოაღნიშნულ საკითხებზე, სადაც მეტი აქტიურობით გამოირჩეოდნენ საქართველოს რეგიონების წარმომადგენლები.

მრგვალი მაგიდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში

2014 წლის 18 მარტს სსმმ აკადემიაში ჩატარდა შეხვედრა აკადემიის წევრებსა და სსმმ აკადემიისა და სხვა ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმის შემუშავებულ კომისიებთან.

2013 წელს სსმმ აკადემიამ გააფორმა შემდეგი ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმები:

საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტთან, საქართველოს პროფესიული განათლების ფონდთან, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, ა.წერეთლის სახელმწიფო

უნივერსიტეტთან, სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალთან “ახალი აგრარული საქართველო”, ვინიცის ეროვნულ აგრარულ უნივერსიტეტთან (უკრაინა), ყაზახეთის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ს/კ ინსტიტუტთან. მზადდება მემორანდუმის გაფორმება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან, საქარ-

თველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან.

შეხვედრას ხელმძღვანელობდა სსმმ აკადემიის პრეზიდენტი აკად. გ. ალექსიძე. შეხვედრის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სსმმ აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოს-მდივანმა აკად. გ. ჯაფარიძემ, სსმმ აკადემიის აკადემიკოსებმა ა. დიდებულაძემ, ჯ. კაციტაძემ, რ. ჩაგელიშვილმა, თ. კუნჭულიამ, ზ. ციციტიშვილმა, აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ე. შაფაქიძემ, აკადემიის სწავლულმა მდივანმა აკად. დოქტორმა ა. გიორგაძემ, აჭარის ს.მ. სამინისტროს მინისტრის

პირველმა მოადგილემ ი. აბულაძემ, ა. წერეთლის უნივერსიტეტის რექტორის მოადგილემ პროფ. რ. კოპალიანმა, საქართველოს პროფესიული განათლების ფონდის თავმჯდომარის მოადგილემ ა. თხილაიშვილმა, სტუის სრ. პროფესორმა გ. გაგოშიძემ, სამეცნიერო ჟურნალ “ახალი აგრარულ საქართველო“-ს რედაქტორმა შ. მაჭარაშვილმა.

შეხვედრაზე განიხილეს თანამშრომლობის მხარეებს შორის სამომავლო გეგმები და ჩატარებული ღონისძიებები და ამ მიმართულებით სსმმ აკადემიის საქმიანობის სამომავლო პერსპექტივები.

სემინარი - სახნავი მიწის ინტენსიურად გამოყენების პრობლემები (წიგნის “საკვები კულტურების აგროწესებ” -ის პრეზენტაცია)

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში 2014 წლის 19 მარტს გაიმართა სემინარი „სახნავი მიწის ინტენსიურად გამოყენების პრობლემები“ (წიგნის საკვები კულტურების აგროწესების პრეზენტაცია). მასში მონაწილეობა მიიღეს აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა აკადემიკოს-მდივანმა გივი ჯაფარიძემ, აკადემიკოსებმა: გივი ცაგურიშვილმა, გოგოლა მარგველაშვილმა, პეტრე ნასყიდაშვილმა, რევაზ ჩაგელიშვილმა, ზაურ ჩანქელიანმა, ჯუმბერ ონიანმა. აკადემიის წევრ-კორესპონდენტებმა თამაზ თურმანიძემ, ოთარ ლიპარტელიანმა, ელგუჯა შაფაქიძემ, აკადემიის სწავლულმა მდივანმა აკად. დოქტ. ანატოლი გიორგაძემ, მეცნიერებათა დოქტორმა იოსებ სარჯველაძემ, მცხეთის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსის მოადგილემ აკად. დოქტორმა ავთანდილ მუშლაძემ, სიღნაღის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსმა ბონდო ბოლდაშვილმა, აკად. დოქტორმა ნატო კაკაბაძემ და სხვებმა.

შეხვედრა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ეროვნულ კოორდინატორებთან

2014 წლის 21 მარტს სსმმ აკადემიის სააქტო დარბაზში ჩატარდა აკადემიის აკადემიური საბჭოს წევრების შეხვედრა ეროვნულ კოორდინატორებთან. შეხვედრას უძღვებოდა სსმმ აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოს-მდივანი აკად. გივი ჯაფარიძე, რომელმაც ფართოდ გააშუქა ეროვნული კოორდინატორების როლის მნიშვნელობა აგრარული დარგის და მისი მიმართულებების წარმატებით განვითარებაზე;

აღინიშნა, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ჩამოყალიბებულია აგრარული დარგის 22 მიმართულებაში ეროვნული კოორდინატორების ინსტიტუტი, რომელშიც გაერთიანებული არიან მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენლები, რომელთა შრომებს აქვთ მაღალი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა, აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ გამოყენებით და ფუნდამენტურ მეცნიერულ პრობლემათა დამუშავებაში, რომლებიც დაკავშირებულია ქვეყნის აგრარული სექტორის მეცნიერულ უზრუნველყოფასთან, იღვწიან მაღალკვალიფიციური სამეცნიერო კადრების მომზადებისათვის. თითოეული მიმართულების ეროვნული კოორდინატორების მიერ ჩამოყალიბებულია

სამუშაო ჯგუფები, რომლებიც დაკომპლექტებულია თვალსაჩინო მეცნიერებით და პრაქტიკოსი სპეციალისტებით.

აკად. გ. ჯაფარიძის მიერ გაანალიზებული იქნა სოფლის მეურნეობის დღევანდელი მდგომარეობა და ის პერსპექტივები, რომელიც გამოიკვეთა სსმმ აკადემიის და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ურთიერთ თანამშრომლობის შედეგად და ამ მიმართულებით ეროვნული კოორდინატორების როლის მნიშვნელობა.

შეხვედრაზე აზრი გამოთქვეს ეროვნულმა კოორდინატორებმა: აკად. რ.მახარობლიძემ, აკად. გ.მარგველაშვილმა, აკად. გ.გუგუშვილმა, აკად. რ.ჩაგელიშვილმა, აკად. ნ.ბალათურია, აკად. გ.ცაგურიშვილმა, აკად. წევრ-კორესპონდენტმა

ე.შაფაქიძემ.

შეხვედრაზე ზეპირი პრეზენტაცია გააკეთა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ახლად ჩამოყალიბებული სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორის მ.შ. აკად. დოქტორმა ლ.უჯმაჯურიძემ, რომელიც ამავე დროს არის სსმმ აკადემიის ეროვნული კოორდინატორი მევენახეობის მიმართულებით.

შეხვედრაზე გადაწყდა, რომ ეროვნული კოორდინატორების მიერ გაწეული საქმიანობა და მათ მიერ შესრულებული პროექტები

პერიოდულად მოსმენილი იქნეს აკადემიის აკადემიურ საბჭოზე, სადაც მიზანშეწონილი იქნება სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლების დასწრებაც; პერიოდულად მოეწეოს ეროვნული კოორდინატორების გასვლითი სემინარები საქართველოს რაიონებში, სადაც განხილული იქნება ფერმერებთან განსახორციელებელი პროექტები და ამ ღონისძიების ინიციატორად სსმმ აკადემიასთან ერთად იქნება რაიონის სოფლის მეურნეობის საკონსულტაციო-საინფორმაციო ცენტრები.

**სემინარი
“მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის
ამაღლების გენეტიკური და სელექციური
საფუძვლები”**

2014 წლის 26 მარტს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში გაიმართა სემინარი “მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის ამაღლების გენეტიკური და სელექციური საფუძვლები”.

სემინარს ესწრებოდნენ როგორც სსმმ აკადემიის წევრები, ისე მოწვეული სტუმრები – მეცნიერები, დარგის სპეციალისტები და წარმოების წარმომადგენლები, მათ შორის სსმმ აკადემიის აკადემიკოსები გ. ალექსიძე, გ. ჯაფარიძე, პ. ნასყიდაშვილი, გ. მარგველაშვილი, ჯ. ონიანი, გ. ცაგურიშვილი, ვ. კვალიაშვილი, ნ. ჩხარტიშვილი, სსმმ აკადემიის წევრ-კორესპონდენტები ო. ლიპარტელიანი, თ. თურმანიძე, ე. შაფაქიძე, აკადემიის სწავლული მდივანი აკად. დოქტ. ა. გიორგაძე, აკად. დოქტორი ქ. მჭედლიშვილი, პრეზიდენტის თანაემწე თ. ეპიტაშვილი, მოწვეული სტუმრები.

სემინარი გახსნა და შესავალი სიტყვა წარმოთქვა სსმმ აკადემიის პრეზიდენტმა აკად. გ. ალექსიძემ. სემინარზე ძირითადი მოხსენება გააკეთა აკად. პეტრე ნასყიდაშვილმა თემაზე: “გენეტიკური რესურსების მნიშვნელობა და გამოყენება სელექციაში”. მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს: აკად. დოქტორმა ნ. ჩხუტიაშვილმა (ხორბლის კულტურები), საუ-ის სრ. პროფესორმა ც. სამადაშვილმა (ტრიტიკალეს კულტურა), აკად. წ/კ ო. ლიპარტელიანმა და შპს “ლომთაგორას” მეცნ. მუშაკმა ზ. ჯინჯიხაძემ (სიმინდის კულტურა), სმ მეცნიერებათა კანდიდატმა ზ. სარალიძემ (ქერის კულტურა), სმ მეცნიერებათა კანდიდატმა თ. კოდუამ (პარკოსნების კულტურა), პროფ. ი. ზედგენიძემ

(კარტოფილის კულტურა).

სემინარზე დაისვა მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის და ხარისხობრივი მახვენებლების გადიდების ღონისძიებების გატარების აუცილებლობის საკითხები და წარმოდგენილი იქნა რამდენიმე წინადადება და რეკომენდაციები, მათ შორის: მომზადდეს საგაზეთო სტატია და საქართველოში შეიქმნას “ხორბლის სახლი” (სადაც თავმოყრილი იქნება შესაბამისად ჯიშები, გაეცნობიან რეკომენდაციებს და აგროტექნიკურ ღონისძიებებს და ა. შ.) – აკად. გ. ალექსიძე; კარტოფილის მეორადი მეთესლეობის დრმად შესწავლისათვის სსმმ აკადემიის აგრონომიულ სამეცნიერო განყოფილებაში შეიქმნას სამუშაო ჯგუფი და შემუშავდეს ღონისძიებების გეგმა-გრაფიკი – პროფ. ი. ზედგენიძე; ეთხოვოს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანიზაცია გაუკეთოს საშემოდგომო ხორბლის “ვარძია” სათესლე მასალის შექმნას ფერმერებისაგან – აკად. დოქტ. გ. სუციშვილი; აღინიშნა, რომ საქართველოში საბედნიეროდ დღეისათვის არ არსებობს გენმოდიფიცირებული ხორბალი, ხოლო ქვეყნის საინფორმაციო საშუალებები ავრცელებენ არა სწორ ინფორმაციებს, რასაც სჭირდება აკადემიის მხრიდან მჭიდრო კონტაქტი პრესასთან და ტელევიზიებთან – აკად. გ. ალექსიძე.





სურ. 2. სემინარის “მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის ამაღლების გენეტიკური და სელექციური საფუძვლები” – მონაწილეები.

პირველ კვარტალში სულ მოსმენილი და განხილული იქნა 10 საკითხი. მათ შორის საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის 2014 წლის პერსპექტიული გეგმის განხილვა-დამტკიცება. მომხსენებლები: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის **ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოს მდივანი გივი ჯაფარიძე; სწავლული მდივანი, აკად. დოქტორი ანატოლი გიორგაძე;** საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის კორპორაციული ელექტრო ფოსტების შესახებ. მომხსენებელი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკადემიის **წევრ-კორესპონდენტი ელგუჯა შაფაქიძე;** საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ეროვნული კოორდინატორების შესახებ. მომხსენებელი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის **აკადემიური დეპარტამენტის უფროსი აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ელგუჯა შაფაქიძე;** საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სწავლული მდივანის-სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორის შესახებ. მომხსენებელი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის **ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოს მდივანი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე;**

განხილულ ცალკეულ საკითხებზე, რეკომენდაციებზე სათანადო რეაგირებისათვის ეცნობოდა ზემდგომ ორგანოებს (“შემოდგომა ზამთრის პერიოდში რძის დეფიციტის არსებობის გამო მცენარეული ცხიმების მოხმარებით გამოწვეული საფრთხეების შესახებ”).

გაზეთ “აკადემიის მაცნეს” მთავარი რედაქტორი:

სსმ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი-აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე

გაზეთ “აკადემიის მაცნეს” მთავარი რედაქტორის მოადგილე:

სსმ მეცნიერებათა აკადემიის სწავლული მდივანი, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი, დოქტორი ანატოლი გიორგაძე

გაზეთ “აკადემიის მაცნეს” პასუხისმგებელი მდივანი:

სსმ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, დოქტორი გივი მოსაშვილი

”აკადემიის მაცნე” - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო უფროსად “მოამბის” დამატება. "News of Academy "- addition of a scientific magazine "Moambe" of The Academy of Agricultural Sciences of Georgia.